ს ა კ ო ნ კ უ რ ს ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. ახმეტის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტციის მომზადება.**

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

3.1. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 60 000 (სამოცი ათას) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement. gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 ან მე-5. პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ანდა ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 10 სექტემბერს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 14 სექტემბერს 15 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2011 წლის 14 სექტემბერს 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე. ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ.№49, მუნიციპალიტეტის გამგეობა.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით)

ბ) გასაწევი მომსახურების ვადის შესახებ.

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

ე) რეკვიზიტები.

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება 700 (შვიდას) ლარს არ განიხილება.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის ვადაში საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. კონკურსანტმა დოკუმენტაციის შედგენისას საჭირო კონსულტაციები უნდა გაიაროს ახმეტის მუნიციპალიტეტის განგეობაში. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზებში.

19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

21. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტებთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონტაქტო პირისგან მარიკა სააკაძე 577-950-141.

22. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი:

- როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმეთა იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ტექნიკური დავალება:

კონკურსში გამოცხადებულ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოებისათვის:

1. საბავშვო ბაღის ოთახების გნლაგების ნახაზი.

2. საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების ლოკალურ-რესურსური ხარჯთაღრიცხვა(შიდა და გარე წყალმომარაგების , შიდა და გარე კანალიზაციის , იატაკების მოწყობის ,ელექტრო გაყვანილობის , მეტალო პლასტმასის კარებების მოწყობის ,შიდა მოპირკეთების სამუშაოები.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.